მნის ხეობა და მნის ეშვი

მარშრუტის აღწერა

ტურის ვებ-გვერდი

შენიშვნა: მდინარის მხარეების/ნაპირების და შენაკადების განსაზღვრება (მარცხენა ან მარჯვენა) მოცემულია სტანდარტული წესის შესაბამისად: მდინარის დინების მიმართულების გათვალისწინებით (ჩვენი მოძრაობის მიმართულების გაუთვალისწინებლად).

ტური სოფელ ზემო ოქროყანაში იწყება, მდინარე მნისწყლისა და თერგის შესართავის მახლობლად. ვკვეთთ მნისწყალს და მარცხენა მხარეს აღმა ავუყვებით მას. გავივლით მნის მიტოვებულ ციხე-სოფელს, მის მახლობლად მდებარე სხვა ნანგრევებს, მნის ეკლესიას და მივალთ იმ ადგილამდე, სადაც მდინარე უნდა გადავლახოთ და ლაშქრობა მეორე (მარჯვენა) მხარეს უნდა განვაგრძოთ, ვინაიდან მარცხენა მხარეს უკვე ძალიან ციცაბო ფერდობებია.

მდინარეზე ხიდი არაა და მდინარის გადასალახად საუკეთესო ადგილი, სადაც დინება შედარებით თავთხელი და ნელია, ჩვენ თავად უნდა მოვძებნოთ.

მდინარის გადაკვეთისა და მარჯვენა ნაპირის გასწვრივ რამდენიმე კილომეტრის აღმა სიარულის შემდეგ მნის ჩანჩქერს მივადგებით, რომელიც მნისწყლის მარჯვენა შენაკადზე, ჩვენგან მარცხნივ მდებარეობს.



მნის ჩანჩქერი ისარი 1-ით არის ნაჩვენები. ისარი 2-ით ნაჩვენებია ფერდობზე ასვლის მიახლოებითი მიმართულება.

Mna Valley and Mna Fang

Route Description

Tour web-page

Note: the sides/banks and tributaries of rivers (whether left or right) are determined by common rule: by looking towards the direction of the river stream (ignoring our moving direction).

The tour begins in Zemo Okrokhana village, near the confluence of Mnistskhali and Terek Rivers. We cross Mnistskhali and go up, along the left side of the river. We pass abandoned fortified village of Mna, other ruins neighboring it, Mna Church and reach the place where we have to cross Mnistskhali River and continue hiking on another (right) side, as the slopes on left side are too steep.

There is no bridge here and we have to find the best place for crossing the river, where the stream is relatively shallow and slow.

After crossing the river and several km hiking up along the right banks, we reach Mna Waterfall, a tall waterfall left of us, on the right tributary of Mnistskhali.



Mna Waterfall is shown by the arrow 1. The arrow 2 shows the approximate direction how we ascent on the slope.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020

ზემოაღნიშნული მარჯვენა შენაკადის გადაკვეთის შემდეგ მარცხნივ ვუხვევთ და ციცაბო ფერდობს შევუყვებით. გასათვალისწინებელია, რომ ტურში ორი ვარიანტი გვაქვს: 1) ბანაკის გაშლა ტურის დასაწყისის მახლობლად და მთლიანი ლაშქრობის უბარგოდ განხორციელება; 2) ბანაკის გაშლა მნის ჩანჩქერის მახლობლად, აქედან კი მნის ეშვზე ასვლა და უკან დაბრუნება უბარგოდ. პირველ შემთხვევაში ლაშქრობა დილით ძალიან ადრე უნდა დავიწყოთ და თან ძალიან სწრაფად ვიაროთ, რათა ბანაკში დაბნელებამდე დაბრუნება მოვასწროთ.

ჩანჩქერის შემდეგ ბილიკი აღარ არის. ასე რომ, როდესაც ფერდობის ბოლოში ავალთ, უბრალოდ მნის ეშვის მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ, რომელიც აქედან კარგ ამინდში კარგად მოჩანს. მნის ეშვამდე საბოლოო აღმართი ციცაბოა და ქვებით არის დაფარული. ამიტომაც ყოველ ნაბიჯზე ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

უკან, ზემო ოქროყანისკენ, იმავე გზით ვბრუნდებით.

After crossing that tributary, soon we turn left and begin to ascend on a steep slope. Note, that there are two options: 1) setting a camp near the beginning of the route and making the full trip without heavy backpack an 2) setting the camp near the waterfall and hike without backpacks from here to Mna fang and back. In the first case, we have to begin hiking very early morning and be very fast to return back to the camp before dusk.

After the waterfall there is no path. So once we are on the top of the slope, we just move towards Mna Fang that can be seen well from here in a good weather. The final ascent to the fang is steep and covered with stones. So we have to be very careful on each step.

We have the same back way to Zemo Okrokhana.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020